

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



კამპანიის - „ეს შენ გეხება“ მონაწილე ორგანიზაციებმა პრესკონფერენცია გამართეს

კამპანიის - „ეს შენ გეხება“ მონაწილე ორგანიზაციებმა, 2012 წლის 7 სექტემბერს, პრესკონფერენცია გამართეს და ხელისუფლებისადმი მიმართვა გაავრცელეს.

კამპანია „ეს შენ გეხება“ მონაწილე ორგანიზაციები ეხმაურებიან ელჩების სამუშაო ჯგუფის, აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმის და კოალიციის „საერთაშორისო ადვოკატირებისათვის“ მიერ ოფიციალურად გავრცელებულ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



განცხადებებს Must Carry-სა და Must offer-ის არჩევნების დღის შემდგომ გაგრძელების აუცილებლობასა და ქვეყანაში მრავალფეროვანი ინფორმაციის გავრცელების კუთხით არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. ვთვლით, რომ:

Must Carry-სა და Must offer-ის ამოქმედებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მრავალფეროვან ინფორმაციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, თუმცა, ინფორმაციის მიღება მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კვლავ შეზღუდულია;

აღდგომისათვის საქართველოს ხელისუფლებას არ გამოუხატავს მზადყოფნა Must Carry-სა და Must offer-ის არჩევნების დღის შემდგომ გაგრძელებასთან დაკავშირებით და ჯერჯერობით არ შექმნილა შესაბამისი მექანიზმები აღნიშნული პრინციპების გაგრძელებასთან დაკავშირებით, რაც არჩევნების დღეს და მის შემდეგ მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიღების შეზღუდვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს;

ახვადასხვა ორგანიზაციების კუთვნილი სატელიტური ანტენების დაყადაღების ფაქტი, საკმარისი და სათანადო სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, უნდა განვიხილოთ, როგორც ფართო საზოგადოების ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვა, რაც წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების საჯარო განცხადებებთან იმასთან დაკავშირებით, რომ ის მზად არის ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კამპანიის - **DO შენ გეხება** მონაწილე ორგანიზაციებმა, მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას და მოითხოვეს:

1. შეიქმნას გარანტიები, რათა Must Carry-სა და Must offer-ის პრინციპების მოქმედება გაგრძელდეს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე;
2. დაუყოვნებლივ მოიხსნას ყადაღა მედია საშუალებების კუთვნილ სატელიტურ ანტენებზე, უზრუნველყოფილ იქნას სატელიტური ანტენების გავრცელების შესაძლებლობა და ხელისუფლებამ ნაცვლად ყადაღისა, გამოიყენოს მონიტორინგის სათანადო მექანიზმები.